პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 26 მარტი 1925 წ.

ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 65 (753) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განებმის ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

კვირას, 29 მარტს დილის 10 საათზე, მე-2 ქართულ ტერ. დივიზიის პოლიტგანყოფილების შენობაში (ევანგულოვის ქუჩა № 2 დანიშნულია თბილისის გარნიზონში მდგომ ყველა ქართულ ნაწილების

## სამხედრო კორესპონდენტთა თათბირი

დღის წესრიგი:

1. სამხკორთა ალმშენებლობის ახალი ამოცანები.
2. მოხსენება ადგილებიდან.
3. მოხსენება კედლის გაზეთზე.
4. მიმდინარე კითხვები.

დასწრება ყველა სამხკორისათვის სავალდებულოა. მოხსენებას ადგილებიდან გააკეთებენ ლეგიონების პასუხისმგებელი სამხკორები.

გაზ. „წითელ-არმიელის“ რედაქცია.

## კიდევ დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

დისციპლინის ამაღლება და განმტკიცება შეადგენს წითელი ჯარის მორიგ მთავარ ამოცანას.

ამ ამოცანის შესრულებისაგან დამოკიდებულია წითელი არმიის ძლიერების ზრდა და მისი საბრძოლო უნარის აწევის წარმატებით სვლა.

ჩვენ არა ერთხელ გვ თქვამს, რომ მომავალში კიდევ მოგვიწევს შეტაკებები იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან.

ამას ნათლად გვეუბნება კაპიტალისტური ქვეყნების სამხედრო ტეხნიკის და ძლიერების წრაფი განვითარება, რომელიც უპირველეს ყოვლისა ჩვენ წინაამდეგ არის მომართული.

ჩვენი მტრები გამალებით მზადებიან.

ჩვენც მზად უნდა ვიყოთ მათ დასახდომათ.

ამიტომაც მთელი ძალღონე და ყურადღება უნდა იქმნას მიმართული წითელი არმიის საბრძოლო უნარის მეტ გაძლიერებისაკენ და მისი რიგების მეტ განმტკიცებისაკენ. ყველაფერი ეს შესაძლებელია ურყევი, ფოლადისებური დისციპლინის საფუძველზე.

სწორედ აქედან თავის მუშაობის მშვიდობიან პირობებში წითელ არმიამ უნდა იზრუნოს დისციპლინის გაღრმავებაზე.

როცა საფრთხე მოვა, მაშინ დისციპლინის განმტკიცებაზე ზედმეტია ლაპარაკი.

ამ მომენტისათვის ყველაფერი მზად უნდა იყოს. რევოლიუციონური დისციპლინა საჭიროდო სიმაღლეზე უნდა იდგეს. წითელი მებრძოლის სამხედრო მომზადების დონე და მისი საბრძოლო უნარი უტყუარ გამარჯვების მტკიცე გარანტია უნდა იყოს. ფართო პოლიტიკური მომზადება და შეგნება უნდა ამხნევებდეს მის რევოლიუციონურ სულს და აკაჟებდეს მას.

ასეთი უნდა იყოს ყოველთვის საფრთხის დროს წითელი არმია.

ამას ის მიაღწევს მხოლოდ დაუღალავი ყოველ დღიური შრომით—მიმართულს დისციპლინის ამაღლებისაკენ და სამხედრო სწავლის გაღრმავებისაკენ.

თითეული მიღწევა ამ მხრივ ფართედ უნდა გაშუქებულ იქმნას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

დღემდი ჩვენი სამხკორები ძლიერ ცოტა ყურადღებას აძლევდენ ამ გარემოებას. ცხადია, ეს დიდი ნაკლია მათ მუშაობაში.

დღეიდან კი არც ერთი წვრილმანი ფაქტი, რომელიც ეხება დისციპლინის გამტკიცების საკითხს ან ასეთის დარღვევას, არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი სამხკორის ფხიზელ თვალისათვის.

ყველაფერი ეს მან უნდა მიაწოდოს „წითელ არმიელს“.

ამ გზით ჩვენ დიდათ ხელს შეუწყობთ ამავე რევოლიუციონური დისციპლინის გამტკიცებას ჩვენი წითელი ჯარის რიგებში.

წითელ არმიელებო, მეთაურნო, პოლიტმუშავენო განამტკიცეთ დისციპლინა!

სამხკორო მოიწერე რა გაკეთდა და კეთდება ამ მხრივ შენს ნაწილში.

# ახალი რადიო-ამბები

## პოლონეთის სასამართლოს ეშინია სიმართლის.

პოლონეთის ძალებმა უარყვეს ინგლისის ვექილების თხოვნა დაშვებულ ყოფილიყო მათი დამცველები ლანცუცკის გასამართლებაზე. მათ უარის გასამართლებლად მოიყვანეს კოდექსიდან მუხლი, რომელშიაც უარყოფილია დაშვება არა პოლონელ ვექილის.

ამაზე ლანსბერიმ მიუთითა, რომ საბჭოთა მთავრობამ დაუშვა ვანდერველდე და სხვა უცხოეთის დამცველები ესერების გასამართლებაზე.

---

## მისაბაძი მაგალითი.

ეკატერინოსლავის მაღარო „კომინტერნი“-ს მუშებმა უყიდეს თავის ხარჯზე შეფობის ქვეშ მყოფ სოფელს ტრაქტორი. შესდგა მიტინგი, რომელზედაც დიდის ზეიმით გადაეცა ტრაქტორი გლეხებს.

მიტინგს დაესწრო ეკატერინოსლავის მახლობელ სოფლების გლეხობა.

---

## საბჭოთა სახალხო მეურნეობის მდგომარეობა.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო სამმართველოს საბჭომ მოისმინა ამხ. კისელიოვის მოხსენება სახალხო მეურნეობის შესახებ თებერვლის თვეში.

მომხსენებელმა აღნიშნა მრეწველობის ინტენსიური განვითარება.

მოხსენების საერთო დასკვნა შემდეგია:

მრეწველობის პროდუქცია იზრდება.

კერძო ვაჭრობა წინანდულად სუსტად ვითარდება.

ფულის მასა თებერვლის თვეში ჩამორჩენილია დეკემბრისაზე. ფულის ღირებულება უცხოეთის ვალიუტასთან შედარებით ინარჩუნებს სიმტკიცეს.

---

## საბჭოთა მაზუთი საფრანგეთისათვის.

24 მარტს მოწერილ იქნა ხელშეკრულება საფრანგეთის მთავრობასთან რომელმაც უნდა შეისყიდოს ხუთი მილიონი ფუთი მაზუთი საზღვაო სამინისტროსათვის.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მოსკოვში საბჭოთა კავშირის მხრიდან ლომოვმა და საფრანგეთის მხრივ ერბეტმა.

---

## დონის ოლქის სამთო-მადნო მუშათა ყრილობა.

გაიხსნა დონის ოლქის სამთო-მადნო მუშათა საგუბერნიო ყრილობა 300 დელეგატის მონაწილეობით. კავშირის საგუბერნიო განყოფილების საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ კავშირი აერთიანებს 101.500 სამთო-მადნო მუშას.

შრომის ნაყოფიერება თითქმის სავსებით აღწევს ომის წინა დროის შრომის ნაყოფიერებას.

## ამხ. ბუხარინი პოლიტიკურ მომენტის შესახებ.

### სამი უდიდესი შემთხვევა.

(ლენინურ ახკომკავშირის ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა).

ამხ. ბუხარინმა წარმოსთქვა სიტყვა მოსკოვის გუბერნიის ახკომკავშირის ყრილობაზე, სადაც მან დაახასიათა დღევანდელი პოლიტიკური მომენტი.

„ერთის მხრივ-განაცხადა მან-ცენტრალურ ევროპაში შენელდა რევოლიუციონურ მოძრაობის ტემპი და ახლო მომავალში არ არის მოსალოდნელი დიდი მნიშვნელოვანი შემთხვევა.

მეორე მხრივ უნდა აღინიშნოს ინგლისის მუშათა მოძრაობის მარცხნით გადახრა, რამაც დაუახლოვა ერთმანეთს ბრიტანეთის და რუსეთის პროფკავშირები. უნდა აღინიშნოს აგრეთვე კოლონიალური მოძრაობის ზრდა, განსაკუთრებით ჩინეთში.

ეს სამი მთავარი ფაქტი მოითხოვს ანგარიშის გაწევას, რომლის მიხედვით უნდა განხილულ იქნას ყველა დანარჩენი საკითხები.

## ბრძოლა გლეხობის მიმხრობისთვის.

მთელი რუსეთის ემიგრაცია დაწყებული მონარქისტებიდან და გათავებული მენშევიკ-ესერებით მთელ თავის იმედს ამყარებენ გლეხობას და სცდილობენ გასწყვიტონ მუშებისა და გლეხების კავშირი საბჭოთა რუსეთში.

დღეს მიდის ბრძოლა: ერთის მხრივ დარაზმულია მუშათა კლასი, მეორეს მხრივ ბურჟუაზია და მემამულეები. ბრძოლა სწარმოებს მილიარდიან გლეხობის რეზერვის გარშემო. ამას ანგარიში უნდა გაუწიოს განსაკუთრებით სოფლათ მომუშავე ამხანაგებმა.

## უმთავრესი ყურადღება გლეხობას.

საერთაშორისო ბურჟუაზია, რომელიც წინად უშუალოდ ეხმარებოდა მემამულეებს მიწის უკანვე დაბრუნებაში გლეხებისაგან, დღეს ფიქრობს, რომ ამ მიწების უკან წაღება შეუძლებელია და უმთავრესი მისი ცდები მიმართულია იქეთ რათა როგორმე გასწყვიტოს კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის. მთავარი კოზირი, რომელიც გვქონდა ჩვენ ხელში და რომელიც ყველაზე მეტი წონისაა-ეს იყო ის, რომ მუშათა კლასმა ხელი შეუწყო გლეხს დაემარცხებია მემამულე და ჩამოერთმია მისთვის მიწა. დღეს უნდა ითქვას, რომ ამ კოზირის ცხრა მეათედიც არ არსებობს, რომ ის გადადის ისტორიულ წარსულში. ეს ჩვენთვის ცხადია და კარგადაც გვესმის.

## გლეხობა ჩაბმულ უნდა იქნას საბჭოთა აღმშენებლობაში.

უნდა მოვიმხროთ გლეხობა, უნდა გავავრცელოთ მასზე მუშათა კლასის გავლენა და მოვიზიდოთ გლეხობის ფართე მასები საბჭოთა აღმშენებლობაში.

სახელმწიფო სოციალისტურმა ინდუსტრიამ უნდა იმუშაოს გლეხის ბაზარზე უფრო ხელსაყრელად უკანასკნელისთვის, ვინემ ამას ასრულებდა კაპიტალისტური ინდუსტრია.

ეს ამოცანა დიდ სიძნელეს წარმოადგენს დღევანდელ პირობებში. ამიტომ ჩვენ მთელი ძალები უნდა მოვიკრიბოთ და გადავსჭრათ ეს დიდ მნიშვნელოვანი ამოცანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი მეთოდები.

ჩვენს წინაშე სდგას მუშაობის გაღრმავების ამოცანა. ვინაიდან ის სიმარტივე და უბრალოება, რომელიც ახასიათებდა ჩვენს მუშაობას წარსულ პერიოდში, უკვე ჩაბარდა წარსულს.

რატომაა დღეს, რომ მიუხედავად ზემო ორგანიზაციების აურაცხელი დირექტივებისა და რეზოლიუციებისა მტკიცე კურსის შესახებ, დღემდისაც ვერ არის მოგვარებული მუშაობა სოფლად? ეს მომეტებულად იმიტომ, რომ ჩვენმა მომუშავეთა კადრებმა ვერ შესძლეს თავისი გადახალისება ისე, რომ გაეძლიერებიათ ავტორიტეტი მასებში ახალი მეთოდებით.

ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მუშური სახელმწიფო (ხოლო გაძლიერება ძველი მეთოდებით არ შეიძლება) ჩვენ ახალი მეთოდებით უნდა გავაძლიეროთ ნდობა გლეხებს შორის. აი რატომ სწარმოებს დღეს რეფორმების მთელი რიგი. და მე წინასწარ ვაცხადებ, რომ ჩვენი პარტია კიდევ მეტ რეფორმებს ჩაატარებს ჩვენი დამოკიდებულების საქმეში სოფელთან.

## ორი საფრთხე.

ამ ამოცანებთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე სდგას ორი საფრთხე.

ერთი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ პარტიამ და კომკავშირმა არ გაუწიოს იქნება ანგარიში ახალ მდგომარეობას და განაგრძოს მუშაობა ძველებურად.

მეორე საფრთხე მდგომარეობს სადავის სრულიად მოშვებაში.

სცდებიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ მართვის რბილი მეთოდები არ მოითხოვენ დისციპლინას. ეს არ არის მართალი.

ამ საფრთხის წინააღმდეგ ჩვენ გვესაჭიროება მუშაობის გაღრმავება.

ამისთვის კი საჭიროა სრული ბოლშევიზაცია.

## კომკავშირის დიადი ამოცანები.

კომკავშირმა ძველ კადრებზე უფრო სახელოვანი როლი უნდა ითამაშოს.

დიდი ბოროტება მდგომარეობს იმაში, რომ დიდძალ მუშაობას აკისრებენ კომკავშირელს.

ამისათვის საჭიროა გადასვლა შრომის ისეთ განაწილებაზე, რომ შეგვეძლოს ღრმად განვავითაროთ ჩვენი აზროვნება.

ჩვენ ვიმყოფებით ძლიერი ზრდის პერიოდში. ბურჟუაზიის ძალაც იზრდება.

ამიტომ ჩვენი განვითარების ტემპი რამოდენიმეჯერ უნდა იქმნას დაჩქარებული, რომ საერთაშორისო ბურჟუაზიამ წინ არ გაგვასწროს ძალით და არ ადაიბიროს თავის მხარეზე გლეხობის ნაწილი.

ვუთხრათ საკუთარ პარტიას: გაადრმავე მუშაობა, ჩაუყარე ძლიერი საფუძველი ლენინის სწავლებას, შეიტანე ნამდვილი ბოლშევიზმი თავის პარტიის წევრებში არა სიტყვით, არამედ საქმით.

კომკავშირლები უნდა გახდენ ჩვენი კავშირის სახელმწიფო პირები. ეს იმას არ ნიშნავს რომ პარტია მოითხოვს თქვენგან ასკეტობას, განდევგილობას და სხვა მსგავს რამეებს.

ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ, რათა თქვენ გქონდეთ პასუხისმგებლობის სრული გრძნობა და მიზნათ დაისახოთ ლენინიზმის უფრო ღრმად შესწავლა ვინემ, დღემდის.

## კამათი ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის გარშემო.

ნიუ—იორკის ეკონომიურ კლუბში გაიმართა კამათი საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის გარშემო. კამათს დაესწრო ათასამდე წარმომადგენელი.

ჰასკელი (ამერიკის დამხმარე საზოგადოების ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირში) აფრთხილებს საბჭოთა კავშირის აჩქარებით ცნობისაგან მსგავსად ინგლისის და საფრანგეთისა. ჰასკელი მაინც მომხრეა სავაჭრო ხელშეკრულების დადებისა საბჭოთა კავშირთან.

ამერიკის შრომის ფედერაციის წარმოდგენელ ფრეინმა სასტიკად გაილაშქრა საბჭოთა კავშირის წინაღმდეგ. მან ბრალი დასდო საბჭოთა კავშირის პროპაგანდაში ამერიკის ფედერაციის გახრწნისა და მთავრობის ჩამოგდების მიზნით. მან მოუწოდა არ დაუჯერონ „საბჭოთა გულჩვილ დამცველებს“.

ცნობილი პედაგოგი მაკ კრაკენი მოითხოვდა საბჭოთა კავშირის ცნობას ამ ორ ხალხს შორის კავშირის აღდგენის მიზნით. მან განაცხადა: „საბჭოთა კავშირის არ ცნობა კი არ სპობს, პირიქით, ხელს უწყობს კომუნისტურ პროპაგანდას.

ქრისტიან ახალგაზრდობის ყოფილი აგენტი ჯერომ დევისიც მომხრეა საბჭოთა კავშირის ცნობის.

ის ამტკიცებდა ურთიერთობის დიდ მნიშვნელობას.

### კომინტერნის აღმასკომის პლენუმზე.

ორშაბათს და სამშაბათს შესდგა კომინტერნის აღმასკომის პლენუმის კომისიების სხდომები.

ოთხშაბათს შესდგება პლენუმის სესიის მეორე პლენარული სხდომა.

## განაჩენი სინკლერის საქმეზე.

სინკლერ ის კომპანიის საქმეზე თათბირის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა თითქმის 17 საათი, მოსკოვის საგუბერნიო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სინკლერთან დადებული ხელშეკრულება კონცესიის შესახებ ითვლება ძალა დაკარგულად და გაუქმებულად.

სინკლერის კომპანიის მიერ ხელშეკრულების აღსრულების უზრუნველსაყოფად შეტანილი საწინდარი თანხა 200.000 მან. რაოდენობით საბჭოთა კავშირის შემოსავალში არ ჩაირიცხება.

## 5000 მელითონე ქუჩაში.

კახელში დაითხოვეს 5000 მელითონე, რომელთაც ხელფასის მომატება მოითხოვეს.

## წყალდიდობის შემთხვევისათვის.

იმ მიზნით, რომ მოსალოდნელი წყალდიდობა იქნეს აცილებული ფოთის რაიონში მდინარე კაპარჭიდან ზღვისკენ კეთდება არხი. ამ არხის სიგრძე იქნება 855 მეტრი, განი—75 მეტრი, სიღრმე საშუალოდ 3 მეტრი. სულ ამოღებულ უნდა იქნეს 18.600 კუბ. მეტრი მიწა. მუშაობა დიდი ხანია დაწყებულია, ჯერ-ჯერობით მუშაობს 100 კაცი, განზრახულია მუშათა რიცხვის 1000-მდე გადიდება. მუშებისათვის მოწყობილია ბინები და სხვ. იმედია, რომ ეს არხი ფოთს ააცილებს წყალდიდობის შესაძლებლობას.

## ამხ. ამხ. მიასნიკოვის, მოგილევსკის და ათარბეგოვის დაღუპვის გამო.

საფრანგეთის საელჩომ, ნორვეგიის მისიამ და ჩინეთის სრულუფლებიანმა დელეგაციამ თანაგრძნობა გამოუცხადეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს საქართველოში მომხდარ უბედური შემთხვევის გამო.

## ამხანაგ მიასნიკოვის, ათარბეგოვის, მოგილევსკის და მფრინავების შპილის და საღარაძის დასაფლავება.

25 მარტს, საღამოს 6 საათზე, ტფილისში მიწას მიაბარეს თავის პოსტზე რევოლიუციისათვის დაღუპულ ამხანაგების: მიასნიკოვის, ათარბეგოვის, მოგილევსკის და მფრინავ შპილს და საღარაძის ძვირფასი ცხედრები. მათ უკანასკნელი პატივი სცა ტფილისის პროლეტარიატმა და მშრომელთა მოსახლეობამ. დასაფლავებას გრანდიოზული დემონსტრაციის ხასიათი ქონდა. ძვირფას ცხედრების ჩასვენება მცხოვრებთ აცნობა ზარბაზნების სალუტმა და ქარხნების საყვირებმა.

## ჯალათების სასამართლო.

პოლონეთის ბურჟუაზია შეუდგა კომუნისტ ლანცუცკის გასამართლებას. ჩვეულებისამებრ ბურჟუაზიულ სასამართლომ მიმართა ყველა იმ ზომებს, რომლებიც ხელს არ შეუშლიან მას სასტიკი განაჩენის გამოტანაში თავის კლასობრივ მტრის წინააღმდეგ. ჯერ ის გარემოება, რომ სასამართლოს პროცესი სწარმოებს დახურულ კარებში ნათლად ააშკარავებს პოლონეთის სასამართლოს ბურჟუაზიულ ბუნებას და მეორეს მხრივ მყვლეფელების შიშს ფართო მშრომელთა მასების წინაშე, რომელთა სიმპატია და თანაგრძნობა ამხ. ლანცუცკის მხარეზეა.

თვით დაკითხვის დროს სასამართლო ცდილობს ჩირქი მოსცხოს ბრალდებულს. ამ მიზნით ის მიმართავს ცილის წამებებს და საძაგელ ჭორებს, რომლებსაც დიდის რიხით აწვდიან მას გასამართლებაზე მოწვეული ცრუ მოწმეები. გავიხსენოთ თუნდ ის ფაქტი, როგორი რიხით წარუყენა პროკურორმა ბრალდება ლანცუცკის მასში, თითქოს ის დიდ განცხრომაში ცხოვრობდეს და როგორ სასტიკად დამარცხდა ბატონიპროკურორი, როცა მისი ბრალდება სინამდვილეში აღმოჩნდა მტკნარი სიცრუე და ყალბი ცნობა.

ამ შემთხვევაში ჩვენ ვდგევართ ისეთ გასამართლების წინაშე, როგორც გერმანიის „ჩეკას“ სასამართლო პროცესი არის. ისე როგორც გერმანიის ბურჟუაზიული სასამართლო, პოლონეთის კაპიტალისტების კლასობრივი სასამართლოც მიმართავს ყოველგვარ სისაძაგლეს ოღონდ კი დასაჯოს და მოუსპოს სიცოცხლე თავის შეურიგებულ მტერს კომუნისტ ლანცუცკის.

პოლონეთის სასამართლოს თავხედობამ აღშფოთებაში მოიყვანა არა თუ საერთაშორისო პროლეტარიატი, არამედ მოლიბერალო საზოგადოებრივი წრეებიც.

პოლონეთის მთავრობამ უარი განაცხადა ინგლისის ვექილების დაშვებაზე სასამართლოში ლანცუცკის დასაცავად. რას გველაპარაკება ასეთი საქციელი პოლონეთის ხელისუფლებისა? მას, რომ პოლონეთის გაბატონებული კლასები სრულიად უმიზეზოდ ასამართლებენ ამხ. ლანცუცკის, რომ ამ შემთხვევაში მათ არა აქვთ არავითარი საბუთი, გარდა კლასობრივი სიძულვილისა.

ამ გზით პოლონეთის ბურჟუაზიას სურს თავისი ბატონობის შენარჩუნება; ასეთ უმსგავსო საქციელით ის ფიქრობს რევოლიუციონურ მოძრაობის ჩაქრობას. ტყუილი იმედებია.

ასეთი გასამართლებანი მხოლოდ თვალს უხილავენ მშრომელთა მასებს და ერეკებიან მას შეურიგებელ რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე.

დღეს ბატონობს ბურჟუაზია და გამოაქვს სასიკვდილო განაჩენი რევოლიუციის მებრძოლთა წინააღმდეგ. მაგრამ არც ისე შორსაა ის დრო, როცა იმავე დარბაზში, სადაც დღეს უსამართლოთ ასამართლებენ ამხ. ლანცუცკის, წითელ მაგიდასთან მსხდარი რევოლიუციონური პროლეტარული სასამართლო გაასამართლებს დაჩაგრულთა და წამებულთა ჯალათებს.

მისი განაჩენი იქნება სამართლიანი და შეუბრალებელი.

ნუ დაივიწყებენ ამას პროლეტარულ რევოლიუციის მტრები.

—ე.

## სამხედრო საქმე

**როგორ მომარჯვდებიან ადგილობრივი საგნები „პოზიციაზე.**

დღევანდელ განვითარებულ ბრძოლის საშუალებების პირობებში დიდი მნიშვნელობა ეძლევა პოზიციებზე ადგილობრივი საგნების მომარჯვებას, ესე იგი, მის გამოყენებას, როგორც სასროლათ ისე საფარათ.

ასეთი საგნები ბევრჯერ უკეთესია საფარვისათვის ვინაიდან ისინი საუკეთესოთ არიან შენიღბულ ადგილმდებარეობასთან იმ მხრივ ისინი არ მიიქცევენ მძებელთა და მოთვალთვალეთა ყურადღებას ისე, როგორც ახლად აგებული ფორტიფიკაციული ნაშენები. ამას გარდა ადგილობრივი საგნების მომარჯვება, ესე იგი, მათი ისე გადაკეთება, რომ შეიძლებოდეს მისგან ცეცხლის წარმოება და იმავე დროს იყოს საფარიც, ნაკლებ დროსა და მუშაობას მოითხოვს ვიდრე ახლად აგებული ნაშენები ხსენებული მიზნით.

ბრძოლის ველებზე სხვადასხვა ადგილობრივი საგნები გვხთება და მათ სხვადასხვა გვარათ უნდა მომარჯვება.

ავიღოთ ზოგიერთი მათგანი და განვიხილოთ თუ როგორ ხთება მათი მომარჯვება.

ამ მხრივ საუკეთესოთ უნდა ჩაითვალოს ზარბაზნის ყუმბარების მიერ გაკეთებული ორმოები. ისინი მომარჯვდებიან როგორც ტყვიამფრქვევლებისაც ბუდეებათ ან კიდევ ცალკე უჯრედებათ, რამდენიმე მსროლელისათვის. ამისათვის საჭიროა ცოტათი გაღრმავება, საფეხურის გაკეთება და ამონათხარი მიწის ბრუსტვერათ დაყრა.

ადვილათ მოსამარჯვებელია აგრეთვე თხრილები. ამისათვის საჭიროა წინა დაქანების ჩათხრა ისე, რომ შეიძლებოდეს მასზე მიწოლა და მოსახერხებელი იყოს სროლისათვის. მოთხრილი მიწა შეიძლება წინ დაიყაროს.

ადვილი მოსამარჯვებელია აგრეთვე შარა გზა. შარა გზასთან ახლოვს გასწრივ თხრილი. თხრილი უნდა გაღრმავდეს, ამონაღები მიწა გზაზე დაიყაროს იმდენი რომ გასწორდეს გზის დაქანება.

ფიცრის ღობე შემდეგნაირათ მომარჯვდება. ფიცარი საზოგადოთ გულისაგან არ იცავს. იცავს მხოლოდ თვალთვალისაგან. ამიტომ საჭიროა ღობის შიგნით მიწის მოყრა. ხთება ეს შემდეგნაირათ. ღობის ერთი მეტრის მოშორებით ამოიღებენ სანგრის თხრილს. ამონაღები მიწა დაიყრება თხრილსა და ღობეს შორის სიმაღლით 0,7 მეტრისა. ამგვარათ ჩვენ მივიღებთ უკვე ბრუსტვერს, რომელიც დაიჭერს მტრის მიერ გამოსროლილ გულებს. შემდეგ დანაყარ მიწის დონეზე გამოიღებენ ფიცარს და მივიღებთ სათოფურს. ამ სათოფურებში მსროლელი გაყოფს თოფს და ისვრის. დანარჩენი ნაწილი ღობისა რჩება ხელუხლებლათ.

ცოცხალი ღობები უმეტეს შემთხვევაში, როგორც საფარები ისე გამოიყენებიან. ზოგიერთ შემთხვევაში ბრუსტვერს ღობის წინ აკეთებენ, მხოლოდ მაშინ საჭიროა მისი სათანადო შენიღბვა.

ქვის კედლები სისქით არა ნაკლები ნახევარ მეტრისა კარგათ იფარავს, როგორც შაშხანა თოფის გულიდან ისე ზარბაზნის ყუმბარების ნამტრევებიდან. იმ შემთხვევაში როდესაც ასეთი კედლები დიდ სიმაღლეს არ წარმოადგენს შეიძლება წინა კედაროდან მიწა მიაყაროთ იმდენათ, რომ შეიძლებოდეს ზედ შედგომით თოფის სროლა კედლის ზევით,

იმ შემთხვევაში, როდესაც კედელი დიდ სიმაღლეს წარმოადგენს, შესაძლებელია ორსართულიანი სასროლის მოწყობა.

ამისათვის საჭიროა დაბლა სართულისათვის კედელში სათოფურების გამოჭრა, ხოლო ზემო სართულისათვის ხარაჩოების გაკეთება, რომ შეიძლებოდეს მსროლელის ზედ შედგომა და კედლის ზევიდან სროლა.

მ. გ.

# პარტიული ცხოვრება.

## „ევკოგრუზის“ ხე-ტყის ქარხნის კომუჯრედის სამი თვის მუშაობის მოკლე ანგარიში.

ერთი წელი შესრულდა მას ემდეგ, რაც „ევკოგრუზი“-ს -ტყის ქარხანაში არსებობს ომუჯრედი. „ევკოგრუზში“ ულ მსახურობს 85 მუშა-მოსა ახურეები, ამათში 20 ხე-ტყის არხნის მუშებია, დანარჩენი ნოქრები და კანტორის თა ამშრომლები.

**უჯრედის შემადგენლობა.**

უჯრედში ითვლება 9 პარ იის წევრი და 3 კანდიდატი. ჯრედის შემადგენლობიდან იზიკურ შრომას ეწევიან, მხ ოლოდ ოთხი რვა კი გონებ იავს.

**ბიუროს მუშაობა.**

ბიუროში შედის სამი წევ რი. აღნიშნული დროის გან ავლობაში ბიუროს ქონდა 12 სდომა, რომელზედაც გარჩე ულ იქნა 56 საკითხი. ბიურო არჩევდა ყველა იმ საკითხებს, რომლებიც არ საჭიროებდა კომუჯრედის დასტურს.

ამავე დროს წინასწარ იხი ლავდა ისეთ საკითხებს, რომ ლებიც უნდა დასმულიყო კო მუჯრედის სხდომაზე და თუ რაიმე საკითხზე საჭირო იყო მომხსენებელი სამი დღის წი ნეთ ღებულობდა სათანადო ზომებს, რომ ამხანაგები გაც ნობოდენ ბიუროს მუშაობას და მონაწილეობა მიეღოთ სე რიოზული საკითხების გადაჭ რაში.

ბიურომ გადასწყვიტა ზო გიერთ შემთხვევებში სხდომებ ზე მოეწვია პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებთან ერთად მუშავდებოდა კომუჯრედის მო ავალი მუშაობის თვიური გე გმა და შემდეგ კი მტკიცდებო და კომუჯრედის სხდომაზე.

**უჯრედის მუშაობა.**

კომუჯრედი თავის მუშაო ბას აწარმოებდა წინასწარ შე მუშავებულ გეგმით. სამი თვის განმავლობაში კომუჯრედს ქონდა 9 სხდომა, 5 დახურუ ლი და 4 ღია, რომელზედაც გაირჩა 42 საკითხი.

უჯრედის ძირითადი მუშა ობა უკანასკნელი თვეების გა ნმავლობაში გამოიხატებოდა იმაში, რომ როგორც პარტი ულები, ისე უპარტიო თანა მშრომლები ჩაება პროფესიო ნალურ, კულტურულ და სა ზოგადოებრივ მუშაობაში.

ადგილკომის, სარევიზიო კო მისიის კულტკომისიის, შრო მის დაცვის კომისიის და სხვა თა არჩევნების დროს კომუჯრე დი ცდილობდა, რომ არჩევ ნებში გაეყვანა მეტი პროცენ ტი უპარტიო თანამშრომლე ბისა.

კომუჯრედმა აგრეთვე სერი ოზული ყურადღება მიაქცია ხე ტყის ქარხნის მუშებში პოლი ტიკურ მეცადინეობას, რისთ თვისაც გამოყოფილ იქნა ორი ამხანაგი, პარტ-წრის დასაარსე ბლად, სადაც ამ ჟამათ მეცა დინეობა სისტემატიურათ მიმ დინარეობს.

ჯერ-ჯერობით მეცადინეო ბა დაიწყო კოვალენკოს პო ლიტიკურ ანბანიდან. ადგილ კომი და სხვა კომისიები, რომ ლებიც არსებობენ „ევკოგრუ ზში“, თავის მუშაობის შესა ხებ მოხსენებას აკეთებენ, რო გორც კომუჯრედის დახურულ, ისე ღია სხდომებზე. კომუჯ რედს ყავს აგიტპროპ-ორგა ნიზატორი და პარტკორი. პი რველს კავშირი აქვს ქალაქის რაიკომთან, ხოლო მეორე, „ევკოგრუზის“ პარტიულ ცხო ვრებიდან ათავსებს წერილებს გაზეთებში.

**უპარტიო მუშა მოსამსახურეებს შორის.**

აღნიშნული პერიოდის გან მავლობაში, გამართულ ოთხ ღია სხდომებზე, კეთდებოდა მოხსენებები სხვა და სხვა სა ჭირბოროტო საკითხებზე, იმა რთებოდა კამათი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ უპარტიო თანამშრომლები.

პოლიტ-მეცადინეობაზე ეს წრებიან უპარტიო მუშებიც.

უჯრედმა ამავე დროს სათა ნადო ყურადღება მიაქცია იმ მუშებს, რომლებმაც არ იციან წერა-კითხვა. ამისათვის ქარ ხნის გამგეს დაევალა წერა-კი თხვის უცოდინარეობის ლიკ ი დაციის მოხდენა ქარხანაში, რომელმაც დიდი ხანია დაიწ ყო მეცადინეობა და ორ-სამ თვეში არავინ არ იქნება უცო დინარი.

კომუჯრედის ინიციატივით დაარსებულ იქნა: 1. რემედასი, 2. საჰაერო ფლოტის მეგობა რთა საზოგადოება 3. ბავშთა მეგობრების საზოგადოება და 4. ს. ს. ს. რ. ქიმიური თავ დაცვის და მრეწველობის მე გობართა საზოგადოება.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი საზოგადოებაში თავისი ნებით არიან ჩაწერილი 80 პროცენ. მუშა-მოსამსახურეებისა, და ყვე ლას თავის დროზედ შემოაქვს საწევრო გადასახადი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს რომ 1 მარტიდან 34 თანამ შრომლებმა თავ-თავიანთ სოფ ლებს გამოუწერეს გაზეთი „წითელ არმიელი“.

**მუშაობა ქალთა შორის.**

მუშაობა ქალთა შორის და იწყო, ერთი თვის წინეთ რი სთვისაც უჯრედმა გამოყო ქა ლთა ორგანიზატორი. ამ ხნის განმავლობაში ქალაქის რაი კომის ქალთა განყოფილები დან გამოთხოვილი იქნა მო მხსენებელი მხოლოდ ორჯერ. პირველად მუშა-მოსამსახურე ების საერთო კრებაზე გაკე თებულ იქნა მოხსენება ქალ თა შორის მუშაობის შესახებ, ხოლო მეორეჯერ მოსამსახუ რეების ოჯახის წევრების-ქალ ების თანდასწრებით, ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ, რის შე მდეგ ქალებმა ერთხმად გადას წყვიტეს იარონ პოლიტმეცა დინეობაზე პარტიულ და უპა რტიო მუშებთან ერთად. 7 მარტიდან 13 ქალმა უკვე დაიწყო მეცადინეობა.

პარტკორი **ელიზბარ.**




# დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას

## დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

მწუხარების და გლოვის საყვირმა
მშრომელთ უბნებზე გადაიარა,
დავკარგეთ სამი ძვირფასი გმირი
გულს სამუდამო ჩაგვრჩა იარა.

შორს მავთულები მიაფრენს კვნესას
ქალაქი სტირის ძაძებ—ჩაცმული...
მათი კუბოა—მარადისობა,
მათი სამარე—მშრომელთა გული.

**დ. ზმფრაშვილი.**

## დაღუპულთა საქმე გაიმარჯვებს.

ძველ—თავდადებულ რევოლიუციონერთა ტრაგიკულად დაღუპვამ საშინლად იმოქმედა სამხედრო საავადმყოფოს პირველი კორპუსის—პირველი პალატის არმიელებზე. ჩვენთვის ცხად ა თუ რა მუშაკები დაჰკარგა კომუნისტურმა პარტიამ. ამ დიდ სამგლოვიარო დღეებში, ჩვენც კომუნისტურ პარტიასთან ვართ და ვფიცავთ თავი დავსდოთ იმ დიდი საქმის გასამარჯვებლად, რომელსაც დიდი ხანია ემსახურებოდენ ეს ძვირფასი ამხანაგები. სამარადისო ხსოვნა მათ. გაუმარჯოს მათ საქმეს.

ავადმყოფ არმიელების დავალებით ი. **კოდუა.**

## სამი რევოლიუციონერის ხსოვნას.

22 მარტს კომუნისტურ პარტიამ და ამიერ-კავკასიის მშრომელებმა დაჰკარგეს სამი მოჭირნახულე და მხურვალე რევოლიუციონერები ამხ. ამხ. მიასნიკოვი, ათარბეგოვი და მოგილევსკი. სამი მებრძოლის უდროოდ დაკარგვა დიდ მწუხარებას იწვევს ჩვენს არმიელებს შორის. ყველამ კარგად იცის თუ რა დიდი შრომა მიუძღვით მათ მუშათა კლასის მომზადებისა და რევოლიუციის გამარჯვების საქმეში.

ისინი ვინც ადვილად უძლებდენ მეფის ჯალათების დევნას, მრავალ წვალებას და ტანჯვას ასე უბრალოდ—უეცრად გამოგვეცალენ ხელიდან.

წითელ-არმიელები ფიცს ვსდებთ თქვენი ხსოვნის წინაშე, რომ თავგამოდებით ვიბრძოლებთ, ძირს არ დავხრით იმ წმინდა დროშას, რომელსაც ასე მხურვალედ ემსახურებოდით თქვენ, მსოფლიო მშრომელთა განთავისუფლებისათვის ყოველთვის მზად ვიქნებით, ეს იქნება თქვენი ხსოვნის საუკეთესო პატივისცემა.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## ჩვენს კომუჯრედში.

ამ ბოლო ხანებში პოლიტ-განყოფილების კომუჯრედის უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს ყველა წევრების აქტიურ მუშაობაში ჩაბმის საქმეს. ამისათვის ყველა წევრთა შორის განაწილებული იქნა პარტდავალებები. ასე მაგალ. ერთ-ერთ ამხანაგს დაევალა შტაბთან არსებულ გუნდის წითელ-არმიელებთან პოლიტმეცადინეობის ჩატარება.

მეორეს იმავე გუნდში ლენინის კუთხის მოწყობა და მასში მუშაობა. გამოყოფილ იქმნენ აგრეთვე ამხანაგები სამოქალაქო უჯრედთან კავშირის დასაჭერად, პარტწრის ჩამოსაყალიბებად, ახ. კ. კ. ჯგუფის დასაარსებლად თვითმოქმედ ორგანიზაციებში (საჰაერო ფლოტი, „რემედასსი-ს“ ქიმიის საზოგადოების“) სამუშაოდ, ტროცკიზმის შესასწავლად, ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად. ამასთანავე საყურადღებოა ერთი დავალება: ერთ-ერთ ამხანაგს დაევალა თვალყური ადევნოს გაზეთებში პარტიულ ცხოვრების მუშაობას და აკეთოს მოხსენება კომუჯრედის სდომაზე პარტიის უკანასკნელ დადგენილებების შესახებ. ახ. კ. კ. წევრებს დაევალა ახ. კომკავშირის წესდების და პროგრამის შესწავლა.

ლოზუნგი „არ არის პარტიის წევრი პარტმოვალეობის ასრულების გარეშე“ ჩვენ კომუჯრედში მთლიანათ არის გატარებული. ამას გარდა მიქცეულია დიდი ყურადღება კომუჯრედის წევრების ყოფა-ცხოვრების შესწავლაზე, რაც დავალებული აქვს თვით ბიუროს.

განზრახულია აგრეთვე პარტკასის დაარსება, რაზედაც დაევალა ბიუროს შეიმუშავოს პარტკასის პროექტი.

პარტკორი ი. **რ—სკი.**

# ჩვენს ნაწილებში.

**ექსკურსია გაზ. „წითელი ქართლის“ სტამბაში.**

მეოთხე ლეგიონის წითელ არმიელებმა ამას წინად დაათვალიერეს გაზ. „წითელი ქართლის“ სტამბა ქ. გორში. წითელ არმიელების უმრავლესობას არც კი ენახათ სტამბა თვის სიცოცხლეში. ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბეჭდ მანქანების ნახვამ. სტამბის თანამშრომლები კარგად შეეგებენ არმიელებს და სრულიად აკმაყოფილებდენ ამხ. ყოველგვარ შეკითხვებს.

ლეგიონის წითელ-არმიელები დიდ მადლობას უძღვნიან ექსკურსიის მომწყობ მეთაურებს და იმედს გამოსთქვამენ, რომ კიდევ ხშირად მოაწყობენ ასეთებს.

**ზ. ქოჩიაშვილი.**

## დიდი დღესასწაულები ქართ. მეთაურთა სკოლაში.

მეთაურთა სკოლაში თებერვლის რევოლიუციის და პარიზის კომუნის დღეებისათვის მზადება ერთ და იმავე დროიდან დაიწყო. თებერვლის რევოლიუციის აღსანიშნავი საღამო უფრო მწყობრად და შინაარსიანად იქნა ჩატარებული.

პარიზის კომუნის წინა დღით სკოლის ყველა ასეულების ლენინის კუთხეებში იქნა ჩატარებული პატარ-პატარა საღამოები.

18 მარტს კი კლუბის ძალებით, მოხსენებების შემდეგ ჩატარდა რემედასის კამპანია, სათანადოთ შერჩეულ პროგრამით.

**ისევ ის.**

## ძეგვის, გრაკალისა და აგარის ხიდზე მოდარაჯე გუნდები.

ხიდეებზე მოდარაჯე გუნდები ძლიერ კარგად არიან მოწყობილი. საცხოვრებელი ბინები მშვენიერია. ლეგიონი ხშირად გვიგზავნის ექიმებს. წერა-კითხვის შესწავლა და პოლიტიკური მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს.

თავისუფალი დროის მიხედვით, ვცდილობთ მჭიდრო კავშირი დავიკაოთ ადგილობრივ მშრომელ გლეხობასთან. სოფლად კრებებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების დროს ყოველთვის გვიწვევენ და ჩვენთან, ერთად სწყვეტენ სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხებს.

**ნ. ჯანელიძე.**

**პარიზის კომუნის დღე მესამე ლეგიონში.**

ლეგიონის ბიურო კოლექტივმა პოლიტ-საათებზე ორ-ორი საათი დაუთმო პარიზის კომუნის გარშემო საუბრებს. წითელ-არმიელებს ფართედ გაეშუქა კომუნის მნიშვნელობა. ეს მოხდა დღესასწაულის წინა დღით. ამავე დღეს ვრცელი მოხსენებით, გამოვიდენ ლეგიონის გაერთიანებულ კრებაზე ამხ. ამხ. ჭკადუა, ხელიძე და გადახაბაძე, რომლებიც შეეხენ პარიზის კომუნის დამსახურებას.

მეორე დღეს კი კლუბში გაიმართა წარმოდგენა, რომელსაც გარეშე მოქალაქენიც დაესწრენ. აქაც ამხ. ჭკადუა გამოვიდა სიტყვით დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ. წარმოდგენის შემდეგ მოეწყო ცოცხალი გაზეთი, რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრეებზე.

**სამხკორი მორიელი.**

---

## მიეცით თავისი ნაოფლარი.

პირველ ცალკე მესანგრე ასეულს დაქირავებული ყავს მეეზოვეთ ამხ. ფირუზაშვილი, რომელიც კეთილ-სინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. მიუხედავად პირობისა ფირუზაშვილს თავისი შრომის ხელფასს არავინ აძლევს.

მთელი სამი თვის განმავლობაში მას არ მიუღია ჯამაგირი. არც „პაიოკი“. ერთად ერთი რასაც ღებულობს ის ასეულიდან არის 2 ნახ. გირვანქა პური. ამხ. არც ბინა აქვს რომ ღამე გაათიოს.

ეს ყოვლად დაუშვებელია, რად არ აძლევენ თავის ნაოფლარს, შრომის ხელფასს?

ჩვენმა უფროსებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას. თუ ჯამაგირის მიცემა არა სურთ დაითხოვონ მაინც და სხვაგან იშოვის სამსახურს.

წ. არმ. **ცხენისწყლისპირელი.**

# საზამთრო პერიოდის დასასრული.

ქართულ გაერთიანებულ მეთაურთა სკოლაში 3 აპრილს დასრულდება მეცადინეობის საზამთრო პერიოდი და დაგვეწყება საზაფხულო—საბანაკო პერიოდი.

ამ ხნის განმავლობაში უნდა ითქვას, რომ ჩვენი მეცადინეობა ძლიერ ნაყოფიერად მიმდინარეობდა. პროგრამა მთლიანად იქნა გავლილი. კურსანტების უმრავლესობას ჩაბარებული აქვთ ყველა კვირეულები. ვისაც არ ჩაუბარებია უნდა მოათაონ 3 აპრილამდე.

4 აპრილს კი პედაგოგიური საბჭო საბოლოოდ გამოარკვევს კურსანტების მდგომარეობას მომზადების მხრივ.

6 აპრილიდან კი დაიწყება გამოცდები და გასტანს დაახლოებით ორი კვირა. შემდეგ კი მოგვცემენ მოკლე ვადიან შვებულებას.

იმედი გვაქვს ჩვენი კურსანტები, სავსებით გაამართლებენ ხელისუფლების იმედებს სათანადო ცოდნის გამოჩენით. ჩვენ დიდი მოვალეობა გვაწევს თავს და ამას მეტი პასუხისმგებლობით უნდა შევხვდეთ.

კურსანტი **ხათიაანი.**

# საბიბლიოთეკო სემინარი.

22 მარტს დივიზიის ბიბლიოთეკაში შესდგა საბიბლიოთეკო სემინარის მორიგი მეცადინეობა. დღის წესრიგში იდგა: 1). მოსკოვიდან ახლად მიღებულ ინსტრუქციის განხილვა საბიბლიოთეკო ტეხნიკის გამარტივების შესახებ და 2). ლენინის კუთხეებში წიგნების დაკარგვასთან ბრძოლა.

პირველ საკითხზე ილაპარაკა სექციის უფროსმა, ამხ. მურადოვამ და გაგვაცნო ისტრუქციის შინარსს, რომელიც დაახლოვებით შემდეგში მდგომარეობს:- ლეგიონების ბიბლიოთეკებში განდევნილ იქნეს ხმარებიდან, ტეხნიკურ მუშაობის გასამარტივებლათ კეტერის ცხრილი. წიგნები მნიშვნელ ინდექსის შემდეგ, დაიწყოს ალფავიტის მიხედვით და სხვა... სემინარმა დაწვრილებით განიხილა ზემონაჩვენები ინსტრუქცია და მიიღო რა, ჩვენი ბიბლიოთეკების ტეხნიკური მოწყობის დღევანდელი მდგომარეობა მხედველობაში ერთხმათ აღიარა: ხსენებულ ინსტრუქციაში ნაჩვენები წესები, როგორც დალაგებისა და დამუშავების მხრივ, ისე კატალოგების შეცვლისა ჩვეულებრივის კედლით არ არის მისაღები ჩვენთვის და ეს წესები, გამარტივების ნაცვლათ ისევე არევ—დარევას გამოიწვევს ასე თუ ისე მოწყობილ ბიბლიოთეკაში.

სხვათაშორის, ეს ინსტუქცია ცენტრიდან გადმოგზავნილი იყო ადგილობრივ სათათბიროთ...

ხანგრძლივი კამთი გამოიწვია ლეგიონში ბარათულ სისტემის კატალოგების საკითხებმა. ყველანი აღიარებდენ, რომ დღევანდელი ფორმისა და შინაარსის კატალოგები წითელარმიელთა ფართო მასსისათვის მიუწდომელია, მაგრამ თითონ ბიბლიოთეკარისთვის სახელმძღვანელოთ კი, ერთ-ერთი სახე ან ალფავიტური და ან სისტემატიური (უკეთეს შემთხვევაში ორივე) აუცილებელია.-

საერთოთ, რაკი მომავალში ლეგიონების ბიბლიოთეკები მხოლოთ და მარტო პოპულიარულ წიგნებით იქებიან მომარაგებული, გამოითქვა აზრი, რომ ბიბლიოთეკარმა მხოლოთ თავისთვის შეადგინოს კატალოგი ერთ ცალად და დაალაგოს ან ალფაბიტურ და ან სისტემატიური წესით...რაც შეეხება მკითხველს, იგი ბიბლიოთეკრის თვალყურის ქვეშ თავისუფლათ უნდა იქნეს მიშვებული თაროსთან.

რადგანაც ამ საკითხმა მრავლი აზრთა სხვა და სხვაობა გამოიწვია მისი საბოლოდ გადაჭრა გადაიდო შემდეგ სემინარულ მეცადინეობისათვის.

ლენინის კუთხიდან წიგნების დაკარგვასთან ბრძოლის შესახებ დადგენილ იქნა: გამოიცეს სათანადო ორგანოდან ბრძანება, რათა კუთხეებში მოწყობილ იქნეს დასაკეტი ყუთები და აგრეთვე მოხდეს ასეულის ბიბლიოთეკართა განთავისუფლება განწესბიდან და სხვა..

შემდეგი მეცადინეობა დანიშნულია ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, მოხსენებას გააკეთებს ამხ. კალინინა საბიბლიოთეკო სტატისტიკის შესახებ.

**ანზორა.**

# ამბები სოფლებიდან

**ქუთაისის გლეხკომების კონფერენცია.**

22 მარტს ქუთაისში შესდგა გლეხკომების სამაზრო ყრილობა.

**ხიდის აშენება.**

რაჭის სამ. აღმასკომმა გადასცა გლეხების არტელს იჯარით სოფ. ამბროლაურთან მდ. კრიხულაზე ხიდის აგების საქმე.

**სანიმუშო სამკითხველოები.**

რაჭის აღმასკომმა გადასწყვიტა გახსნას სანიმუშო სამკითხველოები ონში, ამბროლაურში, ბუგეულში, ნიკორწმინდაში, პატარა ონში და ღებში.

**შინაურ საქონლის შემოწმება.**

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება შინაურ საქონლის ვეტ—სანიტარულ ათ შემოწმების შესახებ.

**საფონდო ვენახები.**

თელავის აღმასკომმა გადასდო ათასი მანეთი საფონდო ვენახების დასამუშავებლათ.

**ამინდის გამომრკვევი სადგური რაჭაში.**

ქალ. ონში არსებულ ამინდის გამომრკვევ სადგურის მუშაობის თვალყურის სადევნებლათ სამაზრო აღმასკომმა დაიქირავა ცალკე კაცი.

**გლეხები ხიდს აგებენ.**

სოფ. ღვარდიის გლეხებმა (ქვემო რაჭა) გადასწყვიტეს აგონ მდინარე შარეულზე ხიდი.

# ახალი ამბები

—**წამლეულობის გაიაფება.** ჯანსახკომის სამკურნალო განყოფილებას განზრახული აქვს 1-ლი აპრილიდან შემოიღოს ახალი სააფთიაქო ნიხრი.

—**ბინების რიცხვი საქართველოში.** საქართველოს ქალაქებში აღრიცხულია 487.319 საცხოვრებელი ბინა.

—**დასახიჩრებულთა კოოპერატივი.** ტფილისში განაახლა თავისი მოქმედება დასახიჩრებულთა კოოპერატივმა, რომელიც საქონელს მიაწვდის აგრეთვე გლეხკომებს.

—**სასოფლო - სამეურნეო სკოლები.** პროფესიონალური განათლების მთავარმა მმართველობამ გადაწყვიტა გააფართოოს სასოფლო-სამეურნეო სკოლათა ქსელი საქართველოს სოფლებში.

—**ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის** საჭიროებისათვის სატყეო ტრესტს შეკვეთილი აქვს დიდძალი სატყეო მასალა.

—**ქვრივებს და ობლებს** თებერვლის თვის განმავლობაში დახმარებათ დაურიგდათ 5. 251 მანეთი.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**სითბოთი მავალის ახალი ტიპი.**

სითბოთი მავალის გამომგონებელი პროფესორი გაკელი, ამ ჟამად ამზადებს ასეთივე ახალი ტიპის მამოძრავებელს. ეს სითბოთ მავალი იქნება № 2-რი და პირველი ნომრისაგან განირჩევა თავისი სიმსუბუქით. ახალი სითბოთი მავალისათვის „რუსეთის დიზელის" ქარხანაში სპეციალურად მზადდება ახალი მამოძრავებელი. თვითონ სითბოთი მავალი კი კეთდება ქარხანი „წითელ პუტილოველში".

**ახალი საქსოვი ფაბრიკის აგება.**

ლენინგრადის საქსოვ სინდიკატის გამგეობის სხდომაზე დადგენილი იქნა ააგონ ახალი საქსოვი ფაბრიკა,

ახალი ფაბრიკა იქნება ერთ სართულიანი დიდი დარბაზით, სადაც მოთავსდება 3,000 საქსოვი მანქანა. ფაბრიკაში გატარდება ელექტროფიკაცია და დაიდგმება სრულიად ახალი ტიპის საქსოვი მანქანები. ტეხნიკურად კარგად მოწყობის გამო ერთ მუშას შეეძლება 10—12 მანქანის მართვა.

აქამდე კი რუსეთის საქსოვ ქარხნებში ერთი მუშა 2 მანქანაზე მეტს ვერ მართავდა.

**წიწილების ხელოვნურად გამოჩეკა.**

ინგლისურ ფერმებში ძლიერ განვითარებულია წიწილების გამოჩეკა. ე. წ. ელექტრონული ინკუბტორის საშუალებით, რომელსაც 100 კვერცხიდან საშუალოდ 55 წიწილი გამოყავს. ერთი ინგლისელი ინჟენერი—ელექტრიკი ძლიერ დაინტერესდა ამით და მრავალი დაკვირვებებისა და ცდების შემდეგ გამოიტანა ისეთი ელექტრონული ინკუბტორი, რომელსაც 100 კვერცხიდან გამოყავს 95 წიწილა. ამ საშუალებას—ძველ ინკუბატორებთან შედარებით შემდეგი უპირატესობა აქვს.

1) შესაძლებელი ხდება ამ აპარატის შიგნით, ჰაერის სინესტის რეგულიარიზაცია.

ეს კი შესაძლებელია ქიმიურად დამზადებული ქაღალდის ნაჭერით, ქაღალდის ნაპირები შეფერილია ისეთი ფერით, რომლითაც უნდა შეიღებოს მთელი ქაღალდი ატმოსფერული სინესტის სწორად განაწილების პირობებში.

ქაღალდს მოათავსებენ აპარატში ჩაწყობილ კვერცხების რიგებს შორის და უყურებენ როდის შეიღებება. თუ ქაღალდს სჭარბობს ლურჯი ფერი, მაშინ აპარატში უშვებენ სინესტეს, ხოლო თუ მას დაეტყო წითელი ფერის სიჭარბე—ინკუბტორის ჰაერს აშრობენ ელექტრო გამოსაშრალებელის საშუალებით.

რომ კვერცხებმა შეინარჩუნონ ერთნაირი ტემპერატურა—სითბო, მათი რიგები იხურება მსუბუქი და თხელი რეზინის ფირფიტებით.

უდიდესი ელექტრო. ინკუბტორი იტევს 10.368 კვერცხს.

ამ ჟამად ყველა მსხვილ ინგლისურ ფერმებში არის მოწყობილი ახალი ინკუბტორის ტიპი.

# სამნეო დარგის საკითხები

**მაკარონის დამზადება მაგარ ფასებში.**

ჯარის ნაწილებმა რომ უფრო მეტად ისარგებლონ მიღებული კერძის სარჩოს შესაძენი ფულით, არმიის მომარაგების სამმართველოს სამხ. სამნეო განყოფილების მიერ მომხმარებელ საზოგადოება „ბოეც კ. კ. ა."—სთან დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ჯარის ნაწილებს აქვთ უფლება:

1. იყიდონ ნაღდზე ხსენებულ საზოგადოების განმანაწილებელ დუქნებიდან 1-ლ თებერვლიდან ვიდრე 1-ლ ოქტომბრამდე მაკარონი იმ რაოდენობით, რამდენიც თვით ერთეულს დაჭირდება, ფუთი 8 მანეთის კვალობაზე ბრუტო (ე. ი. ყუთიანად) და 7 მანეთობაზე ნეტტო (ე. ი. უყუთოთ). ამასთან ერთეულს ეძლევა უფლება უკან დაუბრუნოს „ბოეც კ. კ. ა."-ს ცარიელი ყუთები, რომლებშიაც ეს უკანასკნელი უხდის ერთეულს თითო მანეთს თითო ყუთში. თუ მაკარონის ფასმა ბაზარზე დაიწია, მაშინ „ბოეც კ. კ. ა" იძლევა მაკარონს ბაზრის საბითუმო ფასის 5 პროც. გამოკლებით.

2. „ბოეც კ. კ. ა "-ს განმანაწილებელი დუქნებში მაკარონის უქონლობის გამო, ან სხვა რაიმე მიზეზით მაკარონის გაუცემლობაზე, ერთეულებს შეუძლიანთ იყიდონ იგი ბაზარზე და თუ დაწესებულ მაგარ ფასზე ზედმეტის დახარჯა მოუხდათ მათ, განსხვავებას უნაზღაურებს ჯარის ნაწილებს „ბოეც კ. კ. ა."

**უფროსთა შემადგენლობის პირადი ულუფით კმაყოფა საავადმყოფოებში.**

ის უფროსთა შემადგენლობა, რომელიც პირადი ულუფის მაგიერ ღებულობს კომპენსაციას ფულად, საავადმყოფოში ყოფნის დროს, ისევ ნატურალურ ულუფაზე უნდა გადირიცხოს და მიიღებს მას იმ რაოდენობით, რომელიც საერთოდ დაწესებულია ავადმყოფთათვის,-და მას არას გზით არ მიეცემა კომპენსაცია ფულად, როგორც უკვე ნატურალური ულუფით დაკმაყოფილებულს.

მეთაურთა შემადგენლობა, ავადმყოფობის გამო, შვებულებაში ყოფნის დროს, ღებულობს პირადი ულუფის მაგიერ კომპენსაციას ფულად.

**ეკონომიურ პურის ნამცხვარის გამოყენებაზე.**

უნდა მიექცეს ჯარის ნაწილების ყურადღება, რომ პურის ეკონომიური ნამცხვარი ე. ი. 37,5 პროც. ზევით (თეთრ პურზე-28 პროც. ზევით), რომელსაც აქვს ადგილი პურის ცხობის საქმის სათანადო ცოდნით—გადირიცხოს საძმო თანხებში, რაიც პირველ რიგში უნდა მოხმარდეს: პურის საცხობის შეკეთებას, პურისცხობისათვის საჭირო ნივთების შეძენას და პურის მცხობლების დასაჩუქრებას, რათა ეს უკანასკნელნი იყვნენ წაქეზებულნი თავიანთი სინიდისიერი მუშაობის გამო.

**ეკონომიური პროდუქტების გაყიდვა აკრძალულია.**

ეკონომიურ სურსათ სანოვაგის და საქონლის საკვებ სარჩოს-პროდუქტების კერძოთ გაყიდვა აკრძალულია, ვინაიდან ამას მოაქვს სახელმწიფოსთვის ზარალი, ამიტომ ჯარის ნაწილები ვალდებულნი არიან: 1. სასურსათო საწყობიდან სურსათ სანოვაგის და საქონლის საკვებ სარჩოს მოთხოვნის დროს, აჩვენონ ეკონომიურ პროდუქტების რაოდენობა (დაწესებულ ნორმებიდან გადარჩენილი-მოუხმარებელი, როგორც მაგალითად—ჩაის ეკონომია-ქვაბში საერთოდ დაყენების გამო, ფქვილისა-პურის გამოცხობის გამო და სხვ.), რომელიც პროდუქტების გაცემის დროს ჩაერიცხებათ მათ და რომელშიაც მიეცემათ ღირებულობა არსებულ დამამზადებელ ფასების კვალობაზე.

2. ჩარიცხული პროდუქტები—ჩაწერო 6 სასურსათო დავთრების შესავალში, ხოლო ღირებული საფასური ამ პროდუქტებისა—ჩარიცხონ საძმო თანხებში.

3. ყოველ თვიურ დანიშნულ კომისიებმა უნდა გამოიანგარიშოს ეკონომიურ პროდუქტების რაოდენობა. კომისიის ოქმის ასლი, სასურსათო საწყობის გამგის სათანადო წარწერით, პროდუქტების ჩარიცხვაზე, ჯარის ნაწილები არდგენენ არმიის სამხ. სამნეო განყოფილებაში, რომელიც აძლევს ნაწილებს ამ პროდუქტების ღირებულობას. (პროდუქტების ნაშთებში, არა ეკონომიურში, რომლებიც გროვდება ერთეულებში ზედმეტი მიღებით საწყობიდან, ჯარის ნაწილებს არაფერი არ ეძლევათ).

ეკონომიური პროდუქტების ხარჯაღრიცხვის ფასები შემდეგია: ქვავი—72 კაპ. ფუთი, ხორბალი—1 მან. ღერღილი (გრეჩნევი)—2 მ. 5 კაპ , ღერღილი ფეტვისა (პშენო 1—76 კ., ბრინჯი—4 მან. შვრია—70 კაპ., პილპილი—40 მან., შაქარი—5 მან. 25 კ., ჩაი—44 მან., მარილი—32 კაპ. საპონი 5 მ. 50 კაპ., თივა—65 კაპ., და ბზე—45 კაპ.

**ს. შაკუნი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

,ნ ,დ ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.